ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲖᲛᲘ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 206 (4976)

1973 წ. 18 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში მოსული ადამიანი იქვე ახლოს უთუოდ შეამჩნევს გრანიტის დიდ ლოდს, რომელზეც ამოკვეთილია: „აქ აღიმართება დაღუპულ ქართველ ალპინისტთა ძეგლი“. ქართველი მთამსვლელები სათუთად ინახავენ იმის ნათელ ხსოვნას, ვინც მთებთან ჭიდილში მოიტეხა ფრთები... პირველი, ვინც ძეგლი მიხაკებით შეამკო, უხუცესი მთამსვლელი ქალი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე გახლდათ.

• • •

სურათზე: გრანიტის ლოდი, რომელიც აღმართულია ს. კიროვის სახელობის პარკში ალპიური კლუბის მისასვლელთან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

საინტერესო მოხსენებები

გუშინწინ ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში მუშაობას შეუდგა საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პლენუმი.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ა. ბოროვიკოვი (მოსკოვი).

საქართველოს სსრ ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ო. გიგინეიშვილმა ილაპარაკა ქართული მთამსვლელობის შესახებ.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მთამსვლელობის ვეტერანები ვ. აბალაკოვი, მ. ტყავაძე, ა. თოფაძე, ბ. კუდინოვი და სხვ.

პლენუმზე წაიკითხეს ესტონეთის, სომხეთის, უზბეკეთის, ლენინგრადის, კრასნოიარსკის, ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკის, ალპინიზმის სხვა ფედერაციებისა და სექციების მისალმებები ამ სახეობის საკავშირო და საქართველოს ფედერაციებისადმი. საუკეთესო საბჭოთა მთამსვლელებს გადაეცათ საკავშირო სპორტკომიტეტის ვიმპელები და საჩუქრები, „ფიზკულტურისა და სპორტის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნები.

გუშინ პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. მოისმინეს სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ბოროვიკოვის მოხსენება სამაშველო სამსახურის შესახებ, პროფესორ ლ. მარუაშვილის (თბილისი) მოხსენება საქართველოში მთამსვლელობის ისტორიულ საფუძვლებზე, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. აბალაკოვის (მოსკოვი) მოხსენება მთასვლური ტექნიკის სიახლეების შესახებ.

მეგობრები ხვდებიან ერთმანეთს

თბილისში, ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში მიმდინარეობს საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი.

გუშინ მოეწყო მთამსვლელობის თემაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის გახსნა. მაყურებლებს უჩვენეს ოთხი მოკლემეტრაჟიანი სურათი. პლენუმის რამდენიმე მონაწილეს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვათ ამ ფილმებზე, ფოტოგამოფენაზე, პლენუმის ორგანიზაციაზე...

პ. კლეცკო (ლენინგრადი) — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი: „რა გითხრათ. ეს-ესაა დამთავრდა ფილმების დემონსტრაცია. მიჭირს რომელიმეს მივანიჭო უპირატესობა, მაგრამ, ვფიქრობ, საუკეთესო იყო რეჟისორ ალეკო ძღენტის ნამუშევარი „მონადირე“. ამ ფილმს იმიტომ გამოვყოფ, რომ იგი მთამსვლელობის ჩარჩოებს ბევრად სცილდება.

პლენუმის ორგანიზაცია, თქვენი ალპიური კლუბისა და შესანიშნავ ქართველ მთამსვლელთა მსგავსად, დიდებულია.

ქართული ალპინიზმის სარკედ მე მუდამ მიმაჩნდა და მიმაჩნია: თეიმურაზ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, მიხეილ ხერგიანი... მათთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა. „კლდის ვეფხვთან“ მიხეილ ხერგიანთან ერთად კომუნიზმის პიკიც დამილაშქრავს. მათ ძალიან უყვარდათ მთები, მთების სიყვარულს შესწირეს თავი“.

ვიქტორ სიდელნიკოვი (ალმაათა) — სპორტის ოსტატი, ფოტოკონკურსის მონაწილე: „ფილმებიდან მომეწონა ჩემი თანამემამულეების ნამუშევარი — „საერთაშორისო ალპინიადა კომუნიზმის პიკზე“. მასში ნაჩვენებია ის სიძნელეები, რაც მწვერვალის დაპყრობას ახლავს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ფოტოკონკურსზე. უკეთესი იქნება, თუ ორგანიზატორები მეტ სიმკაცრეს გამოიჩენენ ფოტოსურათების შერჩევისას. რაც შეეხება პლენუმის ორგანიზაციას, — დიდებულია“.

ევგენი ტური (გორკი) — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი: „ჩემი აზრით, საუკეთესოა ფილმი „უშბის სარკე“. მასში განსაკუთრებით კარგადაა გადმოცემული ის სიძნელეები, რაც ა. შინაგაროვის ჯგუფმა გადაიტანა უშბის ამ 600-მეტრიანი ვერტიკალური კედლის გადალახვისას. ასევე კარგადაა ნაჩვენები მთების სიდიადე.

პლენუმზე ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ჩემს მეგობრებს ყველას ერთად ვხედავ. მთაში ასე არ ხდება.

დიდებულია თქვენი ალპიური კლუბი. იგი უპირველესია საბჭოთა კავშირში“.

კინოფესტივალის გახსნაზე მაყურებლებმა ნახეს, აგრეთვე, საჩვენებელი ფილმი „როტ ფრონტი“, რომელიც 1938 წელსაა გადაღებული ბ. კუდინოვის მიერ. იგი მოგვითხრობს მთამსვლელთა პირველ ალპიურ ბანაკ „როტ ფრონტზე“.

ფილმის დემონსტრაციის შემდეგ ცნობილმა მთამსვლელებმა შ. მარგიანმა და გ. დევიძემ გაგვაცნეს ამ ბანაკის ერთ-ერთი დამაარსებელი, უხუცესი მოსკოველი მთამსვლელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ი. ოდნობლუდოვი. მან ბევრი საინტერესო რამ გვიამბო ამ ფილმის შექმნის ისტორიაზე, გაიხსენა ომის წლები, როცა ქართველ მთამსვლელებთან გაბრიელ და ბეჟნუ ხერგიანებთან, მაქსიმე გვარლიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და სხვებთან ერთად იბრძოდა კავკასიონზე გერმანელთა „ედელვაისის“ წინააღმდეგ.

საღამოს პლენუმის მონაწილეებმა შეხვედრა მოუწყვეს მთამსვლელ ახალგაზრდობას თბილისის უნივერსიტეტში. აქ დამსწრეთ უჩვენეს მთამსვლელობაზე გადაღებული ფილმები.

ა. ჭუმბურიძე.

ფოტოობიექტივი მოგვითხრობს

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისი ამ დღეებში მასპინძლობს სსრ კავშირის გამოჩენილ მთამსვლელებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ. ეწყობა საინტერესო შეხვედრები, საუბრები, შთაბეჭდილებათა გაზიარება. ალპიურ კლუბში მისულნი ბევრ საინტერესო ექსპონატთან ერთად იხილავენ უნიკალურ ფოტოსურათებსაც, რომლებიც გადაღებულია თვითონ ფოტომოყვარულ მთამსვლელთა მიერ. გამოფენა მოიცავს საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს. აქ ნახავთ ფოტოსურათებს, გადაღებულს ჩელიაბინსკელი, ტაშკენტელი, მოსკოველი, ლენინგრადელი, სარატოველი, თბილისელი და სხვა ქალაქების სპორტის მოყვარულების მიერ.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

[illegible]-73

● **ლუგანო, 16 ოქტომბერი.** შვეიცარიის ამ ქალაქში გაიმართა სპორტული სიარულის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება. 20-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან პირველი იყო მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ჰ.-გ. რაიმანი (გდრ) — 1:29.31. მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, კიეველმა ნ. სმაგამ IV ადგილი დაიკავა — 1:30.46. მეხუთე იყო ვიტებსკელი ე. ივჩენკო — 1:31.33.

● **ათენი, 16 ოქტომბერი.** გუშინ საღამოს საბერძნეთის დედაქალაქში დამთავრდა ავტორალი „ევროპის ტური-73“-ის IV ეტაპი. ათენში რალიში მონაწილე ყველა საბჭოთა „მოსკვიჩ-412“ და „ლადა“ მოვიდა — მათ წარმატებით განვლეს ამ ეტაპის 1400-კილომეტრიანი გზა. დღეს მოასპარეზეები შეუდგნენ V ეტაპს, რომელიც საბერძნეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის გზებზე გაივლის.

● *იუვიასკიულია (ფინეთი). 16 ოქტომბერი. 25 წლის ფინელმა სტაიერმა ს. ნიკარიმ ადგილობრივ სტადიონზე მსოფლიო მიღწევები დაამყარა 25 კილომეტრზე და 15 მილზე რბენაში. 25-კილომეტრიან მანძილზე მისი შედეგია 1:14.55,6 (ძველი მიღწევა — 1:15.22,6 — 1965 წელს დაამყარა ინგლისელმა რ. ჰილმა), ხოლო 15-მილიან მონაკვეთზე — 1:12.22,6 (25,6 წამით გააუმჯობესა იმავე ჰილის ძველი მიღწევა).*

ნიკოლაუ. ჰარტსტონი...

მადრიდი, 17 ოქტომბერი. ესპანეთის კუნძულ მენორკაზე, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. 12 ტურის შემდეგ შეჯიბრებაში მონაწილე ექვსივე საბჭოთა მოჭადრაკე სატურნირო ცხრილის ზემო ნახევარშია.

გათამაშებას ლიდერობს ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) — 9 ქულა. II ადგილზეა ი. ჰარტსტონი (ინგლისი) — 8,5 ქულა. 8-8 ქულა აქვთ ნ. ალექსანდრიას, მ. შულს (ორივე — სსრ კავშირი) და მ. ლაზარევიჩს, კ. იოვანოვიჩსა (ორივე — იუგოსლავია) და ნ. კონოპლიოვას (სსრ კავშირი) 7,5-7,5 ქულა დაუგროვდათ, ტ. ზატულოვსკაიას, ვ. კოზლოვსკაიასა და ი. ლევიტინას (ყველა — სსრ კავშირი) — 7-7.

50 წლის წინათ და ახლა

მწვერვალზეა... 70 წლის მანდილოსანი!

ხდის ხეობაში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა 30-ე ალპინიადის მონაწილენი სავარჯიშოდ ემზადებოდნენ. მათ შორის მთამსვლელის საჭურველში გამოწყობილი ხნიერი ქალი შევნიშნეთ.

ეს მანდილოსანი გახლდათ მარო ტყავაძე — პროფესორ გიორგი ნიკოლაძის იმ 18-კაციანი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც 1923 წლის 28 აგვისტოს წარმატებით დაიპყრო მყინვარწვერი. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობით იწყება საბჭოთა ალპინიზმის მატიანე. აქედან იწყება თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელთა ისტორიაც — ის 18 მამაცი მთამსვლელი ხომ უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო.

მას შემდეგ 50 წელი გავიდა!

— რომ იცოდეთ, როგორ მინდა კიდევ შევდგა ფეხი იქ, — თვალებგაბრწყინებული გვეუბნება ქალბატონი მარო და ხელით მყინვარწვერზე გვანიშნებს.

მარო ტყავაძემ ერთხელ უკვე გააოცა ყველა, როცა საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავზე 60 წლისამ დაიპყრო მყინვარწვერი.

მას შემდეგ კიდევ 10 წელი გავიდა.

ქალბატონ მაროს კავკასიონის მწვერვალებივით გასთეთრებია თმა, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით, გატაცებით ვარჯიშობს ალპინისტურ ტექნიკაში, თან მყინვარწვერს გაჰყურებს და თავისთვის ამბობს: „უნდა ავიდე, აუცილებლად დავიპყრობ".

ვინ იფიქრებს, რომ ეს ქალი სამოცდაათს გადაცილებულია.

ვარჯიშის შემდეგ, საღამოს, კოცონს შემოვუსხედით. ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებმა სახელდახელო პრეს-კონფერენცია გამართეს. ცხადია, ქალბატონ მაროს ყველაზე მეტი შეკითხვა ხვდა.

— გვიამბეთ იალბუზზე თქვენი პირველი ასვლის შესახებ, — სთხოვს მას V კურსის სტუდენტი პაატა ნაცვლიშვილი.

— ეს იყო 48 წლის უკან. კავკასიის სამთო საზოგადოების წევრებმა გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 8 აგვისტოს 4200 მეტრ სიმაღლეზე „თერთმეტთა თავშესაფარში" ბანაკი გავშალეთ. 9-აგვისტოს იერიში დაიწყო, მაგრამ უამინდობის გამო „პასტუხოვის ღამის სათევიდან" (4700 მ) იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით. მხოლოდ 11 აგვისტოს, 12 საათსა და 15 წუთზე შევდგით ფეხი იალბუზზე. ჩემთან ერთად ექსპედიციაში მონაწილეობდა ოთხი მთამსვლელი ქალი — მარიამ ბექანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი და ლიდია ჩხეიძე. ალპინიზმის ისტორიაში ჩვენ ვიყავით იალბუზის დამპყრობი პირველი ქალები. დღეს ჩემთან ერთად ასმათ ნიკოლაიშვილიც უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, მას ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

მარო ტყავაძე პროფესიით ელექტრო-ინჟინერია. მისი უშუალო მონაწილეობითაა დამონტაჟებული ელექტროსადგურები აჭარისწყალზე, თბოსადგური არზანზე, მოსკოვ — ვოლგის კამხალი... 1948 წლიდან იგი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა, ახლა კი პენსიონერია. მარო ტყავაძე რამდენიმეჯერ იყო არჩეული ხაქალაქო საბჭოს დეპუტატად.

იმ საღამოს კოცონთან კიდევ ბევრი საინტერესო რამ გვიამბეს მან და სხვა ცნობილმა მთამსვლელებმა.

მოახლოვდა ლაშქრობის დღეც. პირველად მ. ასრონიანის ხუთკაციანი ძლიერი ჯგუფი გავიდა „კარვების ქალაქიდან" 3-ბ კატეგორიის სირთულის მწვერვალების — რუსთაველისა და ძნელაძის დასაპყრობად. შემდეგ ალპინიადის ხელმძღვანელი შ. მირიანაშვილი და ა. გავაშელი ჩაუდგნენ სათავეში თანრიგოსანთა ათკაციან რაზმს იმავე სირთულის მწვერვალ შანზე საიერიშოდ. 36 ახალბედა მწვერვალ გორის დასაპყრობად ემზადებოდა.

მთავარი მაინც მყინვარწვერზე ლაშქრობა იყო. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა მარო ტყავაძე და ჩვენც ამ ჯგუფს შევუერთდით. მთლიანი რაზმისა და პირველი ათეულის მეთაურად დ. დანგაძე დანიშნეს, მეორე ათეულს კი შ. მარგიანი ჩაუდგა სათავეში. ამ შესანიშნავ მთამსვლელს კავკასიონის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი აქვს დაპყრობილი ურთულესი კლდოვანი ბასტიონებით, მყინვარწვერზე კი ფეხი პირველად უნდა დაედგა. მესამე ათეულის ხელმძღვანელობა ლ. ღლონტს მიანდეს.

ჩვენი 44-კაციანი რაზმი ხდის ხეობიდან სოფელ გერგეტში გადაბარგდა, უთენია კი ყაზბეგის მეტეოსადგურისკენ მიმავალ ბილიკს შევუყევით. ტყავაძეს ყველა ერთგვარი შიშით ვუყურებდით: რაც უნდა იყოს, წლებს თავისი მიაქვს. მაგრამ ქალბატონმა მარომ მშვენივრად აათავა საბერწეს საძოვრები და გერგეტის ყინვარს შეუდგა.

ეს ყინვარი 10 კილომეტრამდე სიგრძისა და 1000 მეტრამდე სიგანის ნაპრალებით დასერილი ყინულოვანი ველია. უზარმაზარი, ნაპრალები რამდენადაც შემზარავია, იმდენად დიდებული და მიმზიდველი. მარო ტყავაძე ჩვენთან ერთად გვერდს უვლის უშველებელ ნაპრალებს, ხოლო პატარებს მკვირცხლი ბავშვივით ახტება.

მძიმედ დატვირთულებმა 16 საათზე ძლივს ავაღწიეთ მეტეოსადგურში, რომელიც 3700 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მეტეოსადგურის უფროსმა ტ. ხუციშვილმა სამ ოთახში გაგვანაწილა.

— სწრაფად დავნაყრდეთ, შემდეგ კი დავიძინოთ, თორემ იერიში შუაღამისას — ორ საათზე იწყება! — ბრძანა მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელმა.

პირველ საათზე წამოგვშალეს. ყინავს.

— თოკით გადაბმულები ისევ გერგეტის ყინვარს მივუყვებით, ვარსკვლავებისა და ფარნების შუქზე ძლივს მივიკვლევთ გზას ყინულის სამეფოში. პირველად განთიადისას ვისვენებთ. მალე ნისლი ჩამოწვა. მწკრივში მეხუთე კაცს ველარ ვხედავთ, მაგრამ იმას კი ვგრძნობთ, რომ დაქანებულ ფერდობზე ვართ. სიარული სულ უფრო ჭირს, მუხლებამდე თოვლში ვეფლობით. რომელიღაც გოგონა შესვენებას ითხოვს.

— აბა, მარო, ყოჩაღად. მყინვარწვერი აუცილებლად უნდა დაიპყრო! — ამხნევებს თავის თავს უხუცესი მთამსვლელი.

ამ სიტყვებმა თითქოს ძალა შთაბერა დაღლილ გოგონას.

— მგონი გზა აგვებნა, — გაისმა დანგაძის ხმა.

წინ მზვერავები გავგზავნეთ. ისინი მალე დაბრუნდნენ და გვაცნობეს: მწვერვალი სულ ახლოსაა, ოღონდ... სპარტაკიო. თურმე ნისლში მხარი გვექცა. მეტი რა გზა იყო, სპარტაკს უნდა დავჯერებოდით. მალე ამ მწვერვალზე ჩვენი სევდანარევი და ძალდატანებული ვაშა გაისმა.

ყველამ მივულოცეთ მარო ტყავაძეს 4700 მეტრი სიმაღლის მწვერვალის დაპყრობა.

— ხომ შევძელი, ხომ შევძელი მწვერვალზე ამოსვლა. მყინვარწვერსაც დავიპყრობ. მერე რა, რომ ის ცოტა მაღალია, — ამბობდა აღტაცებული და სიხარულისგან თვალებცრემლიანი „მოხუცი".

— რა ძალამ ამოგიყვანათ ამ სიმაღლეზე? — ეკითხებიან მოლაშქრენი.

— ფიზიკურმა ვარჯიშმა, მონდომებამ და ნებისყოფამ. მართალია, მოვხუცდი, მაგრამ დღესაც რუსთავის ფიზკულტურელებთან ვარ. ხშირად ვხელმძღვანელობ ტურისტულ ლაშქრობებს, — უპასუხა ვეტერანმა.

ახალგაზრდა მთამსვლელთა უჟმეტესობა დაჟინებით მოითხოვდა ლაშქრობის გაგრძელებას მყინვარწვერისკენ, მაგრამ მწვერვალისკენ კი არა, მეტეოსადგურისკენ ძლივს გავიკვლიეთ გზა, რადგან ქარბუქი ამოვარდა და ახალმა თოვლმა ჩვენი გაკვალული ბილიკი დაფარა.

ჩვენს გარდა ყველა რაზმმა შეასრულა თავისი პირვანდელი ამოცანა. თუმცა მათაც ძალიან გაუჭირდათ ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში. მაგალითად, მირიანაშვილისა და გავაშელის ჯგუფმა ორის ნაცვლად ოთხი დღე მოანდომა მწვერვალ შანის დალაშქვრას. მაგრამ ყველა კმაყოფილი დარჩა, ყველაზე მეტად გახარებული კი ახალბედები იყვნენ.

— მთაში პირველად ვიყავი. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მწვერვალის დაპყრობით გამოწვეულმა სიხარულმა ყველაფერი დამავიწყა. დიდებულია მთები. ალპინიზმს არასოდეს მივატოვებ, — გვითხრა ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა მ. შუბითიძემ.

ამ აზრისაა ყველა ახალბედა.

* * *

დარიალის ხეობაში, სამხედრო გზის პირზე ვიდექით. უცებ ჩვენს წინ „კოლხოზნიკი" გაჩერდა.

— ქალბატონო მარო, დაბრძანდით! — შესთავაზა შოფერმა.

— ვინ ბრძანდებით, საიდან მიცნობთ?

— თქვენ მთელი ხევი გიცნობთ, დაბრძანდით.

ა. ბურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყაზბეგის რაიონი,
ხდის ხეობა.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მ. ტყავაძე ესაუბრება დ. დანგაძეს (მარცხნიდან პირველი) და ტ. ხუციშვილს; გერგეტის ყინულოვან ველზე; წინ მწვერვალია.

ავტორის ფოტოები.



ჭადრაკი: საბჭოთა კავშირის 41-ე ჩემპიონატი

ზედმეტი პაიკი — უპირატესობა

XI ტური. ვ. სავონი (ხარკოვი) — ტ. პეტროსიანი (მოსკოვი) 0,5:0,5, ნ. რაშკოვსკი (ყურგანი) — ო. ავერკინი (სვერდლოვსკი) 0,5:0,5, ა. კარპოვი (ლენინგრადი) — ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) 0,5:0,5, ა. ბელიავსკი (ლვოვი) — მ. ტალი (რიგა) 0:1. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კარპოვს 7 ქულა აქვს, ბ. სპასკის (მოსკოვის ოლქი) — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ვ. კორჩნოის (ლენინგრადი) — 6,5 (1), ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი) — 6 (1), პეტროსიანს — 6.

XVIII საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მოჭადრაკე ფილიდორი ამბობდა: პაიკი საჭადრაკო პარტიის სული და გულია. ეს შეხედულება დღესაც უცვლელია. თანამედროვე ოსტატები უფრო ვირტუოზულად იყენებენ პაიკის ძალას გამარჯვების მისაღწევად.

სპასკიმ მ. ტაიმანოვთან (ლენინგრადი) შეხვედრაში, როგორც კი ფიგურების განვითარება დაამთავრა, თავისი ორი პაიკი უშიშრად ჩააბა იერიში. შემდეგ მათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ორი კუც დაახმარა და ტაიმანოვს მეფის დაცვა საზრუნავი გაუხდა. სპასკიმ ჯერ ორი პაიკი მოიგო, მერე — მესამეც. ბოლოს მან ერთი პაიკი უკან დააბრუნა და თამაში ეტლების მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა. ტაიმანოვმა ისღა შეძლო, რომ პარტია გადადო.

შეუპოვრად იბრძვის კარპოვი. გელერს მან მძაფრი თამაში შესთავაზა. მანევრირებისას კარპოვმა მეტოქის პოზიციაში სუსტ პაიკს მიაგნო და გელერი მისი დაცვით შებოჭა. შავები დიდხანს ფიქრობდნენ თითოეულ სვლაზე. კონტროლამდე დარჩენილი 16 სვლისთვის გელერს 10 წუთიღა რჩებოდა, მაგრამ ამ დროს კარპოვი... 35 წუთით ჩაფიქრდა. მან ღრმად შეისწავლა პოზიცია და აღმოაჩინა, რომ უპირატესობის რეალიზება დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ამასობაში სათამაშო დროც შემოაკლდა და ამიტომ მეტოქეს დაუზავდა.

ტალმა ენერგიული თამაშით ბელიავსკის ორი პაიკი მოუგო, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი იყო.

გადადებულ პარტიებში მხარეთა უპირატესობას ზედმეტი პაიკი განსაზღვრავს. პოლუგაევსკის კ. გრიგორიანთან (ერევანი) ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს, პ. კერესსაც (ტალინი) ზედმეტი პაიკი აქვს ვ. ტუკმაკოვთან (ოდესა), ოღონდ ეტლების ენდშპილში. ე. სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი) პაიკი აკლია კორჩნოისთან. რთულ პოზიციაშია შეწყვეტილი ვ. სმისლოვ (მოსკოვი) — გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) პარტია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ჭადრაკი: I ლიგა, თბილისი

ყველა გზა გამარჯვებისკენ როდი მიდის

გადადებული პარტიების დამთავრება. ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — თ. გიორგაძე 0,5:0,5, ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) — ხ. მაკარიჩევი 0,5:0,5, ა. კუინჯი (ორივე — მოსკოვი) — ვ. ოსნოსი 0:1, ს. ფურმანი (ორივე — ლენინგრადი) — გიორგაძე 0:1, ი. კლოვანი (რიგა) — მაკარიჩევი 1:0, რ. ვაგანიანი (ერევანი) — ს. პალატნიკი (ოდესა) 1:0, ოსნოსი — ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ვაგანიანი — 6,5 ქულა, ფურმანი, ბრონშტეინი, ჯინჯიხაშვილი — 5,5-5,5, გიორგაძე — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

— იღბალი გქონიათ, წაგებას გადაურჩით, — უთხრეს ვასიუკოვს.

მან ღიმილით შენიშნა:

— თამაზმა გადამარჩინა!

ვასიუკოვს გიორგაძესთან გადადებულ პოზიციაში ხარისხი აკლდა და წაგება გარდაუვალი იყო. მაგრამ ახალგაზრდა ოსტატი შეცდა: ეგონა, რომ ყველა გზას გამარჯვებისკენ მიჰყავდა. ვასიუკოვი მეფით შეიჭრა მაგ...ის განლაგებაში და კუს ხელშეწყობით საყაიმო პოზიცია შექმნა. გათამამებული მეფის განდევნა შეუძლებელი აღმოჩნდა და გიორგაძე ნახევარი ქულის დაკარგვას შეურიგდა.

მერე გიორგაძემ ფურმანთან დაიწყო თამაში. აქ მან ოსტატურად გამოიყენა თავისი ლაზიერის დიდი მოძრაობის უნარი, ეტლისა და მხედრის ურთიერთმოქმედების ძალა. ლენინგრადელი დიდოსტატი ამაოდ ცდილობდა პირველი წაგებისთვის თავის დაღწევას.

თხუთმეტწუთიანი შესვენების შემდეგ გიორგაძემ თამაში განაგრძო ზილბერშტეინთან მსუბუქი ფიგურების ენდშპილში. ორსკელ ოსტატს ოდნავ უკეთესი პოზიცია ჰქონდა, იგი შეეცადა ამ უპირატესობის გამოყენებას, მაგრამ პარტია კვლავ გადაიდო, ვინაიდან გადადებული პარტიების თამაშისთვის გამოყოფილი დრო ამოიწურა. გიორგაძემ ყაიმისთვის უნდა იბრძოლოს.

კლოვანმა მაკარიჩევი მალე დაარწმუნა წინააღმდეგობის უაზრობაში.

მთელ საღამოს გასტანა ვაგანიან — პალატნიკის თამაშმა. ეტლების ენდშპილში ვაგანიანს უკეთესი შანსი ჰქონდა და იგი შეუპოვრად თამაშობდა მოგებაზე, პაიკი გაჰყავდა ლაზიერში. ბოლოს ერევნელმა დიდოსტატმა მაინც თავისი გაიტანა: ლაზიერი „გააცოცხლა" და გაიმარჯვა.

— რა მემართება, არ ვიცი: მოსაგებ პარტიას ვერ ვიგებ. დღეს მაკარიჩევსაც ყაიმზე შევუთანხმდი, — წყენით თქვა გუფელდმა, რომელმაც ზედიზედ ოთხი პარტია ყაიმით დაასრულა.

თ. გიორგაძე.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 2 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მ. გოგოლის (თბილისი) ამოცანა სწორად ამოხსნეს: რ. ნებიერიძემ, ზ. თაბაგარმა, რ. გურულმა (სამივე — ზესტაფონი), თ. ფარულავამ, ქ. ჯანაშიამ (ორივე — გეგეჭკორი), შ. ხურციძემ (ვანი), ა. გოზალიშვილმა (წნორი), რ. მარგალიტაძემ (თბილისი), ა. კირთაძემ, დ. კლდიაშვილმა (ორივე — ქუთაისი), გ. პავლიაშვილმა, შ. შუბითიძემ (ორივე — გორი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. მb7 b4+! 2. მფc4 b3 3. მc5+ მფa5 4. მd7 მფa4 5. მფc5 მფa5 6. მe5 მფa6 7. მc4 a5 8. მb6X.

ოთხი გუნდი ცოტაა!

ბათუმში, „სპარტაკის" სპორტდარბაზში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი და თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები გუნდები. ოთხი გუნდი ამგვარ ტურნირში აშკარად ცოტაა.



სპორტის ოსტატის პროგრამით სინქრონულ ხტომაში ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს ქუთაისელმა ც. სურგულაძემ და თბილისელმა დ. გოგისვანიძემ — 11,2 ქულა. II ადგილი დაიკავეს თბილისელებმა ვ. რემეზოვამ და ც. ბუძიშვილმა — 6,7, III — თ. კრესმა და ლ. ვასილიევამ (აჭარა) — 5,3.

ვაჟებში გაიმარჯვეს თბილისელებმა ს. ანდრიასიანმა და გ. კალანჯიანმა — 16,8 ქულა. II ადგილზე არიან მათი თანაგუნდელები ა. ნაროიანი და ზ. ომხანელი — 16,2. III ადგილი ქუთაისელებს ა. არუთინიანს და მ. ქარსელაძეს ხვდათ — 15,2.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთეულთა შეჯიბრებამ სპორტის ოსტატის პროგრამით. აქ პირველობა არავის დაუთმო დ. გოგისვანიძემ — 18,0. II ადგილზეა ც. სურგულაძე — 18,0. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ბათუმელი სპორტის ოსტატი ლ. სტრელნიკოვა III ადგილს დასჯერდა — 17,8.

ვაჟებში ტოლი არ ჰყავდა ს. ანდრიასიანს — 19,0. II და III ადგილები მისმა თანაგუნდელებმა გ. კალანჯიანმა და ზ. ომხანელმა დაიკავეს — 18,6 და 18,4.

პირველთანრიგოსან ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. ანდრიენკომ (თბილისი) — 24,7. II ადგილი დაიკავა ლ. ვასილიევამ (აჭარა) — 23,7, III — ნ. აბდულინამ (ქუთაისი) — 23,2. ვაჟებში ყველას აჯობა ქუთაისელმა გ. იობიძემ — 23,5. მეორე იყო ი. ფრანგულიდი — 22,5, მესამე — ფ. დიამანტიდი (ორივე — აფხაზეთი) — 21,2.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი და გარდამავალი თასი თბილისელებმა მოიპოვეს. II ადგილი ხვდათ აჭარის, ხოლო III — აფხაზეთის წარმომადგენლებს.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).
ბათუმი.

ძველი სკოლის „სიჭაბუკე"

ალიტუსის მე-2 საშუალო სკოლაში, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული კორპუსი. ფიზკულტურის მასწავლებლებმა პირველად ამოისუნთქეს თავისუფლად: ახლა ბავშვებს ყოველგვარ ამინდში შეუძლიათ ვარჯიში.

ვრცელ სარბიელზე ერთდროულად შეუძლიათ ვარჯიში კალათბურთელებსა და ფრენბურთელებს. მაყურებლებისთვის გაკეთებულია საგანგებო აივნები.

ალიტუსის ტრესტის მშენებლებს სკოლის სპორტული ბაზის აგებაში დიდი დახმარება გაუწიეს თავად მოსწავლეებმა, რომლებმაც ორი მუდმივი სამშენებლო ბრიგადა ჩამოაყალიბეს. ჩატარდა რამდენიმე შაბათობა, სადაც ბავშვებთან ერთად მათმა მშობლებმაც გამოიღეს ხელი.

ალიტუსი ახალგაზრდა და სწრაფად მზარდი ინდუსტრიული ცენტრია ლიტვის სამხრეთში. სულ მოკლე ხანში რაიონის ქალაქებსა და სოფლებში ათი სპორტული დარბაზი აშენდა.

ალიტუსი,
ლიტვის სსრ.
(საკდესის კორ.).

„ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდები ჩიოდნენ სპორტული ბაზის, კერძოდ, საფეხბურთო მინდვრის უქონლობაზე. ეს წერილი რედაქციამ ზომების მისაღებად საქართველოს ალკკ სამტრედიის რაიკომს გადაუგზავნა. და აი, მივიღეთ რაიკომის მდივნის ნ. გელეიშვილის პასუხი. იგი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ამბავი სინამდვილეს შეეფერება და ძველი სამტრედიის ტერიტორიაზე მართლაც არ არის ფეხბურთის სათამაშო მინდორი.

კომკავშირის რაიკომმა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დასახა საჭირო ღონისძიებანი. კერძოდ, სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ გამოყო მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია საფეხბურთო მინდვრის მოსაწყობად.

• • •

ზუგდიდის რაიონიდან შემოვიდა წერილი, რომ ცაცხველ (ცაიშის სასოფლო საბჭო) ახალგაზრდებს სპორტული ბაზები არა აქვთ. ამ საკითხზე საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ფიფიამ გვიპასუხა:

„ცაცხველი ახალგაზრდების წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. კოლმეურნეობას ფეხბურთის მინდორი არა აქვს. შესაკეთებელია მარტივი ტიპის სპორტმოედანი. ეს მოედანი 1 ნოემბრისთვის ჩადგება მწყობრში. სოფლის ცენტრში კოლმეურნეობამ გამოყო ნაკვეთი ფეხბურთის მინდვრისთვის. კოლმეურნეობის 1974 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ხარჯები ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად".

მოწინავე უბნებზე

ბაკურიანში სასპარტაკიადო ბაზების მშენებლობაზე ყველა ორგანიზაციამ უმატა მუშაობას. ახლა უკვე შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სწრაფდაშვების ტრასისა და მიტარბიდან კოხტაგორა მეორემდე კიდული საბაგირო გზის, ტრამპლინების, სასტუმროს მშენებლობაზე. განსაკუთრებით გამოირჩევიან ამიერკავკასიის „ელექტროქსელმშენის" ტრესტის ბაკურიანის სამშენებლო უბანი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მე-2 სამშენებლო სამმართველო, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნრემმშენის" ტრესტი.

„კავკასელექტროქსელ მ შ ე ნ ი ს" ტრესტის (მმართველი ნ. გუნცაძე) სამშენებლო უბანმა (უფროსი ა. ტყეშელაშვილი) სწრაფდაშვების ტრასის საბაგირო გზის მშენებლობაზე მასზე მინდობილი საქმე თითქმის მთლიანად დროულად გააკეთა და ახალ უბანზე — ტრამპლინების საბაგირო გზაზე გადაინაცვლა. ტყეშელაშვილს მუდამ მხარში უდგას სამუშაოთა მწარმოებელი ზ. სანიკიძე, რომელსაც ზედა სურათზე (მარჯვნივ) ხედავთ, როცა დურგალ გ. სააკიანს დავალებას აძლევს.

ტრამპლინზე საბაგირო გზის მშენებლები ქვედა სადგურის ხუთივე საყრდენის საძირკვლის ჩასხმას მორჩნენ და სადგურის მშენებლობაზე მუშაობენ. მეორე სურათზე სწორედ სადგურის საძირკვლის ჩასხმის ბოლო სამუშაოების ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მექანიზებულმა კოლონამ ტრამპლინების პროფილის მოწყობის მექანიზმების სამუშაოები დაასრულა. თვითმცლელებს იმ დღეს მიწის უკანასკნელი გროვა გაჰქონდათ.

ბაკურიანში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ყველაფერი უკვე იდეალურად იყოს. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია, რაზეც შემდეგ წერილში გვექნება საუბარი.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

გულის კარნახით

ზესტაფონში კარგად იცნობენ პირველთანრიგოსან მოჭადრაკეს, ინჟინერ-ტექნოლოგ ა. კუბლაშვილს.

ა. კუბლაშვილმა გადაწყვიტა ზესტაფონელი ბავშვები აზიაროს ბრძნულ თამაშს. პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მან საზოგადოებრივ საწყისებზე ნორჩ მოჭადრაკეთა წრე გახსნა. პატარები კუბლაშვილის ხელმძღვანელობით ინტერესით ეცნობიან ჭადრაკის საიდუმლოებას, უსმენენ მის ნაამბობს თამაშის წარსულზე და დიდ მოჭადრაკეებზე, მონაწილეობენ ერთდროული თამაშის სეანსებში, ტურნირებში. ჭადრაკითაა გატაცებული ა. კუბლაშვილის ორი შვილიც.

ენთუზიასტი მწვრთნელის მიერ მომზადებული ზესტაფონელი ნორჩი მოჭადრაკეების გუნდი ტყიბულსა და ჭიათურაში თანატოლებს ამხანაგურ მატჩებში შეხვდა.

ყველა კმაყოფილია: ა. კუბლაშვილი თავისი აღზრდილებისა, ბავშვები და მათი მშობლები — მწვრთნელისა.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).
ზესტაფონი.

თბილისი — ევროპის ჩოგბურთელთა მასპინძელი

21-28 ოქტომბერს თბილისში, „დინამოს" კორტებზე გაიმართება ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

პირველი ამგვარი ტურნირი მოსკოვში ჩატარდა 1957 წელს. ერთი წლის უკან მოსკოვშივე დასაბამი მიეცა საერთაშორისო შეჯიბრებებს დახურულ კორტებზე. ამის შემდეგ როგორც ზამთრის (დახურულ კორტებზე), ისე ზაფხულის (ღია კორტებზე) ტურნირები ტრადიციად იქცა.

თბილისი ამ შეჯიბრებას მეორედ მასპინძლობს. სარბიელზე გამოვლენ საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ო. მოროზოვა, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, მ. კროშინა, ზ. ივანოვა, ა. ივანოვა, ე. ბირიუკოვა და სხვ. ევროპის ქვეყნებიდან მოსალოდნელია ბევრი ძლიერი ჩოგბურთელის ჩამოსვლა.

გთავაზობთ ღია კორტებზე გამართულ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულთა სიას:

ქალები. 1957 წ. — ჟ. კერმეცი (უნგრეთი), 1959 — ა. დმიტრიევა (სსრ კავშირი), 1960 — ა. დმიტრიევა, 1961 — ვ. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 1962 — ჯ. ლეჰეინი (ავსტრალია), 1964 — ა. დმიტრიევა, 1965 — მ. სმითი (ავსტრალია), 1966 — ე. ჯონსი (ინგლისი), 1967 — ო. მოროზოვა (სსრ კავშირი), 1968 — ო. მოროზოვა, 1969 — ჯ. ჰელდმანი (აშშ), 1970 — ო. მოროზოვა, 1971 — ა. ერემეევა (სსრ კავშირი), 1972 — ო. მოროზოვა.

ვაჟები (წლების თანმიმდევრობა ახლაც და სხვა თანრიგებშიც ისეთივეა, როგორც ზემოთ). ფ. ჰუბერი (ავსტრია), ი. გუიაში (უნგრეთი), პ. როდრიგესი (ჩილი), ი. გუიაში, ფ. ფროლინგი (აშშ), ნ. პილიჩი (იუგოსლავია), ა. მეტრეველი (სსრ კავშირი), ა. მეტრეველი, ა. მეტრეველი, თ. ლეიუსი (სსრ კავშირი), თ. ლეიუსი, ა. მეტრეველი, ა. მეტრეველი, თ. კაკულია (სსრ კავშირი).

ქალთა წყვილები. ჟ. კერმეცი — მ. ჰელიერი (ავსტრალია), დ. უორდი (ინგლისი) — ფ. დე ლა კურტი (საფრანგეთი), ა. დმიტრიევა — ი. რიაზანოვა (სსრ კავშირი), ვ. სუკოვა — ე. იოჰანესენი (გდრ), ლ. ტერნერი (ავსტრალია) — ჯ. ლეჰეინი, ო. ლენდლოვა — ი. შონსკა (ორივე — ჩეხოსლოვაკია), მ. სმითი — დ. ტეგარტი (ავსტრალია), ე. ჯონსი — ბ. სტევი (ჰოლანდია), გ. ბაქშეევა (სსრ კავშირი) — ა. დმიტრიევა, ო. მოროზოვა — მ. ჩუვირინა (სსრ კავშირი), ო. მოროზოვა — ზ. იანსონე (სსრ კავშირი), ო. მოროზოვა — ტ. პარმასი (სსრ კავშირი), გ. ბაქშეევა — მ. ჩუვირინა, ო. მოროზოვა — ზ. ივანოვა (სსრ კავშირი).

ვაჟთა წყვილები. ფ. ჰუბერი — ნ. კუმანი (ინდოეთი), ი. გუიაში — ა. ადამშტოლცა (უნგრეთი), ბ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) — ნ. პილიჩი, ს. ლიხაჩოვი — მ. მოზერი (ორივე — სსრ კავშირი), ფ. ფროლინგი — დ. დელი (აშშ), თ. ლეიუსი — ს. ლიხაჩოვი, თ. ლეიუსი — ს. ლიხაჩოვი, ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი, ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი, ვ. ეგოროვი — ვ. კოროტკოვი (ორივე — სსრ კავშირი), თ. ლეიუსი — ს. ლიხაჩოვი, ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი, ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი, ა. ვოლკოვი — შ. ტარპიშჩევი (ორივე — სსრ კავშირი).

შერეული წყვილები. ვ. პუჟეინოვა — ი. იავორსკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ლ. უორდი — დ. უოლი (ინგლისი), ა. დმიტრიევა — ს. ლიხაჩოვი, ვ. სუკოვა — ჰ. კარლი (ჩეხოსლოვაკია), ლ. ტერნერი — ჯ. ფლეჩერი (ავსტრალია), ა. დმიტრიევა — ა. მეტრეველი, მ. სმითი — რ. ჰიუ (ავსტრალია), ჯ. ჯონსი — ა. მეტრეველი, გ. ბაქშეევა — ა. მეტრეველი, ო. მოროზოვა — ა. მეტრეველი, ო. მოროზოვა — ა. მეტრეველი, ე. ბირიუკოვა (სსრ კავშირი) — ს. ლიხაჩოვი.

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ლიდერთა მდგომარეობა უცვლელია

რეკორდი ნათხოვარი მოტოციკლით

წყვილთა ექვსდღიანი რბოლის VII და VIII ეტაპებს ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია: ერთი წრის დისტანციური უპირატესობა ა. ხრისტენოკისა (მოლდავეთი) და ი. კუჩერიავის (უკრაინა) წყვილს საშუალებას აძლევს რბოლა სასურველი გრაფიკით წარმართოს. მაგრამ საზრუნავი ლიდერებსაც ბევრი აქვთ. ამჟამად მათი მთავარი ამოცანაა მეტოქეებს დისტანციური უპირატესობის გაზათილების საშუალება არ მისცენ და ამიტომაც გულმოდგინედ აკონტროლებენ დაწინაურების ყოველგვარ ცდას.

VII ეტაპზე შერეულმა წყვილმა კიდევ 9 ქულა მოიგო. აქტიურად გამოდიან ჩეხოსლოვაკიელები ი. ბლაგა და მ. ელინეკი. განსაკუთრებით ეფექტურად წარმართეს მათ მერვე რბოლა — მოიგეს რამდენიმე ფინიში და 104 ქულა დააგროვეს. ამ სპორტსმენთა მთავარი ამოცანა ერთი წრის მოგებაა. თუ ეს მოახერხეს, 104 ქულით ფაქტიურად მიუღწეველი იქნებიან. III ადგილს კვლავ ლენინგრადელთა წყვილი (მ. კრასკოვი — ა. დენისოვი) ინარჩუნებს.

ექვსი რბოლის შემდეგ საქართველოს ველოსიპედისტები ვ. ფეტისოვი და ნ. ავეტისიანი VII ადგილზე არიან. მეშვიდე ეტაპზე მათ მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე ცდას მიმართეს, აქტიურობდნენ კიდეც, მაგრამ ვერაფრით ვერ „დაიმორჩილეს ფინიში“. მაგრამ წყვილი მაინც არ შედრკა და მერვე რბოლის მიწურულს ხელთ იგდო ინიციატივა. ახლა უკვე ყველაფერი ბოლო ფინიშზე იყო დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ გამარჯვება ორმაგ ქულებს იძლეოდა. ფეტისოვმა და ავეტისიანმა სწორად გაანაწილეს ძალები, დროით შეცვალეს ერთმანეთი და მერვე რბოლის ბოლო ფინიში მოიგეს. ამ წარმატებამ მათ ერთბაშად 10 ქულა შესძინა. საქართველოს ველოსიპედისტებმა ერთი ადგილით წინ გადაინაცვლეს. ახლა მათ 36 ქულა აქვთ.

საინტერესო იყო იუნიორთა ჯგუფური რბოლა, რომელშიც 20 წყვილი მონაწილეობდა. წარმატებისთვის სხვებზე მეტი მონდომებით იბრძოდნენ უკრაინის (პ. დომოჟილკინი — ვ. გოლუბნიჩი), რუსეთის ფედერაციისა (ვ. დებელი — ი. სიდორენკო) და საქართველოს (ნ. პანკრატოვი — ვ. ივანოვი) გუნდები. საპრიზო ადგილებიც სწორედ ამ კოლექტივებმა გაითამაშეს. უკრაინელებმა I ადგილი დამაჯერებლად მოიგეს. II საპრიზო ადგილისთვის კი დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა რუსეთისა და საქართველოს ველოსიპედისტთა შორის. რბოლა დამთავრდა და მეტოქეებს თანაბარი ქულები აღმოაჩნდათ, მაგრამ უპირატესობა რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტებს მიენიჭათ, რომლებმაც ბოლო ფინიშზე იმარჯვეს. საქართველოს წყვილი III ადგილზე დარჩა.

იუნიორთა სპრინტი ყირგიზეთის წარმომადგენელმა ს. ბელოუსოვმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. მიცაევი (რსფსრ) და ნ. ტარასოვი (ყაზახეთი). გამოთიშვით გუნდურ რბოლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი, 2. რუსეთის ფედერაცია, 3. ლატვია. საქართველოს ნაკრებს VII ადგილი ხვდა.

თბილისში მეორე გამარჯვებს იზეიმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ტ. პილშჩიკოვამ (რსფსრ). ამჯერად იგი პირველი იყო ჯგუფურ რბოლაში, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების პროგრამით ჩატარდა. რბოლის ბედი გადაწყვიტა პილშჩიკოვას, გ. ალექსანდროვას (ლატვია) და ნ. მუხანოვას (ყაზახეთი) გაბედულმა მანევრმა. ისინი ჯერ შეუმჩნევლად დაწინაურდნენ, მალე კი მთელი წრით გაუსწრეს ძირითად ჯგუფს. დისტანციურმა უპირატესობამ ამ სამეულს საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი მისცა. ბოლო ფინიში რუსეთის წარმომადგენელმა მოიგო და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. ალექსანდროვას II ადგილი ხვდა, მუხანოვას — III.

გუშინწინ მოეწყო ექვსდღიანი რბოლის IX და X ეტაპები, რომლებმაც ლიდერთა სამეული უცვლელი დატოვა. წინ კვლავ ხრისტენოკ — კუჩერიავის წყვილია, რომელიც, მართალია, 75 ქულით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიელთა დუეტს (ამ უკანასკნელს 124 ქულა აქვს), მაგრამ დისტანციური უპირატესობა ერთპიროვნული ლიდერობის უფლებას აძლევს. III ადგილს ლენინგრადელები მ. კრასკოვი და ა. დენისოვი ინარჩუნებენ.

თბილისელთა დუეტმა (ვ. ფეტისოვი — ნ. ავეტისიანი) რამდენიმეჯერ დაარღვია წესი, რის გამოც მკაცრად დაისაჯა: მსაჯთა კოლეგიამ მას 9 ქულა დააკლო. თბილისელებმა ერთი ადგილით უკან გადაინაცვლეს.

გაუმჯობესდა კიდევ ორი საკავშირო რეკორდი. ამჯერად თავი გამოიჩინეს სალიდერო რბოლის თბილისელმა ოსტატებმა ვ. პოპოვმა და ო. დადუნაშვილმა (ლიდერი). მათ ჯერ 50-კილომეტრიან დისტანციაზე გააუმჯობესეს რეკორდი, მერე — ერთსაათიან რბოლაში. ორივე შემთხვევაში დაემხო მოსკოველთა წყვილის — მ. მარკოვისა და მ. ზაიცევის რეკორდები. 50 კმ-ზე ახალი საკავშირო რეკორდი 37.28,77-ს უდრის, რაც ძველ შედეგზე 19,65 წამით უკეთესია, ერთსაათიან რბოლაში კი თბილისელებმა 80 კმ 393 მ და 34 სმ აჩვენეს (ძველი მიღწევა 77 კმ-სა და 303 მეტრს უდრიდა).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახალმა რეკორდსმენებმა წარმატებას ნათხოვარი მოტოციკლით მიაღწიეს. მოტოციკლი მათ „დამხობილთა“ დუეტმა დაუთმო, მაგრამ ბოლო წრეზე თბილისელებს მანქანამ მაინც უმტყუნა — საწვავი გამოელია. პოპოვმა ფინიშის ხაზი ულიდეროდ გადაკვეთა.

ნ. ახვლედიანი.

• • •

სურათზე: ვ. პოპოვი და ო. დადუნაშვილი სარეკორდო რბოლის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სამ სახეობაში

გაიმართა რაიონის პირველობები ფრენბურთში, კალათბურთსა და ხელბურთში. ფრენბურთში ვაჟთა შორის ჩემპიონები გახდნენ თეთრი წყაროს კულტსახლის, ხოლო ქალებში — ასევე თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის გუნდები. კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ამავე სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ხელბურთში უძლიერესი იყო „გარისის“ საბჭოთა მეურნეობის ვაჟთა გუნდი.

თ. ხუციშვილი,
თეთრი წყაროს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

რიაზანში მოეწყო ტრადიციული შეჯიბრება სათხილამურო როლერებით. I ადგილი დაიკავა ქვეყნის ჩემპიონმა სათხილამურო სპორტში, სპორტის ოსტატმა ი. ბირიუკოვმა. 12-კილომეტრიანი დისტანცია მან 34 წუთსა და 50 წამში გაიარა.

სურათებზე: მარჯვნივ — **სათხილამურო როლერებით რბოლის მომენტი;** მარცხნივ — **სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი 70 კილომეტრზე რბოლაში ა. ბირიუკოვი.**

ი. დიაკონოვის ფოტო (საკდესი).

ფეხბურთი

0:0

მინდორზე არიან გდრ-ისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდები

ერფურტი, 16 ოქტომბერი. დღეს აქ ფრედ — 0:0 — დამთავრდა გდრ-ისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, თამაში საინტერესო გამოდგა. პირველი 15 წუთის მანძილზე ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ საუცხოოდ ითამაშეს მეკარეებმა ჩანოვმა (დონეცკის „შახტიორი“) და იაკუბოვსკიმ (როსტოვის „ჯანზა“).

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ჩანოვი, დამინი, მირზოიანი, ბუკიევსკი, ბაიშაკოვი, კუზნეცოვი, ხისამუტდინოვი, პეტროსიანი, აბრამოვი, მახოვიკოვი, წერეთელი.

მატჩს, რომელსაც 5 ათასი მაყურებელი დაესწრო, სჯიდა უნგრელი არბიტრი სკოკანი.

ბელოუსოვა და პროტოპოპოვი ბალეტში

ამიერიდან ლ. ბელოუსოვას და ო. პროტოპოპოვის ხელოვნებას შეაფასებენ არა ფიგურული ციგურაობის მსაჯები, არამედ ბალეტის კრიტიკოსები: ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს ამ დღეებში დებიუტი ჰქონდათ ლენინგრადის ყინულზე ბალეტის ახალ პროგრამაში.

... როცა მაყურებლებმა ბელოუსოვა და პროტოპოპოვი ნახეს ლისტის მუსიკაზე შექმნილ ახალ მინიატურაში „პეტრარკას სონეტი“, უნებურად გაახსენდათ „მთვარის სონატა“ და „სიყვარულის ოცნებანი“, ეს პატარა ბალეტები, რომლებიც იმთავითვე ეკუთვნოდა როგორც სპორტს, ისე ხელოვნებას.

— ბევრჯერ შემოგვთავაზეს ... სამუშაო, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო აქტიური გზა ავირჩიეთ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტ ო. სერდობოლსკის პროტოპოპოვმა. — ლენინგრადის ბალეტი ყინულზე, სადაც ახლა ვმუშაობთ, ჩვენი თანამოაზრეების კოლექტივია. ბევრი ფიგურისტი კლასიკური ბალეტის ერთგულია. სწორედ ამის შედეგია „გედის ტბის“ ფრაგმენტის დადგმა.

საკდესი

ფაბარლიმ სტიქიას სძლია

ფრანგმა აფროსანმა ერიკ ტაბარლიმ გაიმარჯვა სტიქიასთან ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც ქარიშხლის დროს ანძა გაუტყდა, მამაცი აფროსანი ათი დღის განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდა ატლანტის ოკეანეს და რიო-დე-ჟანეიროსკენ მიდიოდა. სადაც ნავს შეუკეთებდნენ.

ტაბარლის ნავი „პენ დიუიკ VI“ შვეიცარიელმა ა. კიოდევემ გააკეთა. როცა ავარიის ამბავი შეიტყო, იგი მაშინვე შეუდგა მუშაობას, დღე და ღამეს ასწორებდა და ახალი 25-მეტრიანი ანძა დაამზადა. საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავი საგანგებოდ ჩაფრინდა ამ ანძისთვის ჟენევაში, რათა იგი ტაბარლისთვის რიო-დე-ჟანეიროში დაეხვედრებინა. მაგრამ ანძა თვითმფრინავში არ ჩაეტია, სანამ 2 მეტრით არ დაამოკლეს. ბუნებრივია, ეს გაართულებს სარემონტო სამუშაოებს რიო-დე-ჟანეიროში.

რემონტის შემდეგ ტაბარლის განზრახული აქვს გააგრძელოს დედამიწის ირგვლივ რბოლა, თუმცა მეტოქეებმა საგრძნობლად გაუსწრეს შეჯიბრების ყოფილ ლიდერს. ახლა რბოლას სათავეში უდგას ინგლისელი ჩ. ბლიტი. ამჟამად იგი 1500 მილითაა დაშორებული კეიპტაუნს, სადაც უნდა შეაკეთოს თავისი ნავი „დიდი ბრიტანეთი II“.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

სუპერლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

19 ოქტომბერს
სათადარიგო შემადგენლობანი

20 ოქტომბერს
ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 18 ს.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 19 ოქტომბერს; აბონემენტებზე — 18 და 19 ოქტომბერს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში; საერთო გაყიდვა — 20 ოქტომბერს 10 საათიდან.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** ტანვარჯიშის კათედრის მუსიკალურ-რიტმული აღზრდის უფროსი მასწავლებლის ნახევარ საშტატო ერთეულზე (მეცნიერების კანდიდატი).

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელეფონები: 22-31-60, 22-00-76.

ИНДЕКС 88148 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12885